ხელშეკრულება №38

(გამარტივებული წესით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ) 2023 წლის 22 მაისი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთის მხრივ შ.პ.ს.,,ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია" ს.კ.415599720 წარმოდგენილი მისი დირექტორის - ზურაბ ცარციძის სახით(შემდგომში ,,შემსყიდველი") და მეორე მხრივ შპს,,ტელკო სისტემს“ ს.კ.205203279 წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი გულიაშვილის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი") , საქართველოს ორგანული კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მუხლი 8_ის შესაბამისად ვაცხადებთ რომ **ერთმანეთთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით**, ამავე კანონის მე_10 მუხლის 3 პუნქტის საფუძველზე (შემდგომში ,,მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი, კლასიფიკატორი და დაფინანსების წყარო

2.1. CPV32413100 – ქსელის მარშრუტიზატორი. 32581130 - სპეციალური დანიშნულების მონაცემის გადასაცემი კაბელი.

2.2. ხელშეკრულების საგანია: 1. CISCO1921-SEC/K9 მოდელის ქსელის მარშრუტიზატორი(როუტერი) ერთი ერთეული. 2. Console Cable 6ft with RJ45 and DB9F - მოდელის ქსელის მარშრუტიზატორის მონაცემთა მიღებისა და გადაცემის სპეციალიზებული კაბელი ერთი ერთეული.

2.3. შესასყიდი პროდუქციის დაფინანსების წყაროა შემსყიდველის 2023 წლის საკუთარი შემოსავლები.

3. ხელშეკრულების ღირებულება, ვადები და ანგარიშსწორების პირობები

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ჯამური ღირებულება შეადგენს 1753(ათას შვიდას ორმოცდაცამეტი)ლარს. საქონლის მიწოდება მოხდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 დღის ვადაში მისამართზე, ყაზბეგის გამზN29ა.

3.2. მხარეთა შორის ანგარიშსწორება ხდება სასაქონლო ზედნადების გამოწერიდან/მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

3.3. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 20 ივლისი ჩათვლით.

4. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს 2.1. პუნქტით განსაზღვრული ქროდუქცია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

4.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას დროულად გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული პქოდუქციის ღირებულება.

4.3. მხარეებს უფლება აქვთ, შესაბამისი დოკუმენტ(ებ)ის მომზადების შემდეგ შეცვალონ ამ ხელშეკრულების ვადები და საქონლის ან/და მომსახურების ღირებულება, თუმცა აღნიშნული ცვლილება არ უნდა აუარესებდეს შემსყიდველისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

5. ხელშეკრულების პირობების შეცვლა, შეჩერება, ფორს-მაჟორი

5.1. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს დამატებითი შეთანხმების სახით და იგი უნდა ჩაითვალოს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

5.2. ხელშეკრულების შეჩერება ხდება მასში ცვლილების შეტანის მიზნით, ან/და რომელიმე მხარის მიერ წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

5.3. ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება:

ა) ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ.

ბ) მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

გ) მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, თუკი ეს უთანხმოება გრძელდება ორ თვეზე მეტი ხნით და არ წარმოშობილა სასამართლო დავა.

5.4. ფორს-მაჟორი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.5. ფორს-მაჟორული სიტუაციის დადგომისთანავე მხარეებმა უნდა მიმართონ ერთმანეთს წერილობითი ფორმით, ასეთი სიტუაციის გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზის შესახებ.

6. სადაო საკითხების გადაწყვეტა

6.1. ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა ყველა ღონე უნდა იღონონ სადაო საკითხების პირდაპირი მოლაპარაკებების გზით მოსაგვარებლად.

6.2. მხარეებს უფლება აქვთ სადაო საკითხების პირდაპირი მოლაპარაკების გზით მოუგვარებლობის შემთხვევაში კანონით დადგენილი წესით მიმართონ სასამართლოს.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1. ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში თითოეული მხარე ვალდებულია მიაწოდოს მეორე მხარეს წერილობითი ახსნა-განმარტება შეფერხების არსსა და მის წარმოქმნასთან დაკავშირებული გარემოებების ასახსნელად.

7.2. ხელშეკრულების შესრულების შეფერხებამ ხანგრძლივი ვადით შესაძლოა გამოიწვიოს ხელშეკრულების შეჩერება, შეფერხების მიზეზების აღმოფხვრამდე. ხელშეკრულების შეფერხების დაუძლეველ გარემოებად წარმოქმნის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების შეწყვეტაზე.

8. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02%_ი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.2. იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცილებისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა მიაღწევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. ხელშეკრულების კონტროლი

9.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს კონტროლის ჯგუფი ან/და შესაბამისი უფლებამოსილი პირი.

9.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული საქონლის ან/და მომსახურების ხარისხი.

9.3. მიმწოდებელი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ან/და მომსახურების კონტროლი. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი, კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას და სხვა ხარჯების ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი.

10. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

დასახელება: შპს ,,ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია"
საიდ: ნომერი: 415599720
მისამართი: ჭიათურა, ნინოშვილის ქN5 მეკსართული
მომსახ. ბანკი: სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა.ა. **№ GE76BG0000000162132873**
ტელ: 551444144
დირექტორი
ზურაბ ცარციძე

მიმწოდებელი

დასახელება: შპს,,ტელკო სისტემს“
საიდ: ნომერი :205203279
მისამართი: თბილისი, ყაზბეგის გამზ. 29ა
მომსახ. ბანკი: სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა.ა. **№ GE75TB4021536020100006**
დირექტორი:
ირაკლი გულიაშვილი

Zurab Tsartsidze 54001000494
Digitally signed by Zurab Tsartsidze
Date: 2023.05.22 13:22:43

Telco Systems LLC
Digitally signed by Telco Systems LLC
Date: 2023.05.22 14:35:47 +04'00'